h 43.

Коммуна

Октябрь

№ 3

1929

პარიზის კომუნარების სისხლი მუდამ შეურიგებელ კლასობრივ ბრძოლისაკენ მოგვიწოდებს!

პარიზის კომუნისათის წამებულნი ცოცხლობენ რევოლიციონურ პროლეტარიატის გულში!

პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი პ ო ე ტ ი ს ბ ე დ ი

რუმინელმა ფაშისტებმა შვიდი წლის ვადით დაპატიმრება მიუსაჯეს ახალგაზრდა ნიჭიერ პროლეტარულ პოეტს მ. კაგანს იმისათვის, რომ ის დოფტანის ბნელ ჯურღმულებში წერაკითხვას ასწავლიდა პატიმარ გლეხებსა და მუშებს.

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც რუმინელი ჯალათები ეძებდენ მოხერხებულ დროს რევოლიუციონერი პოეტის ამხ. კაგანის გასანადგურებლად ამხ. კაგანის ლექსები აკრძალული იყო და როცა პოლიციამ გაჩხრეკის დროს მას უპოვა ხელნაწერის გასამრავლებელი მანქანა — გეკტოგრაფი, ის დააპატიმრეს და საპყრობილეში მოათავსეს.

სიგურიანცაში დაკითხვის დროს ისე უწყალოდ სცემეს ამხ. კაგანი, რომ მან ორივე მხრები ილრძო. როცა მისი ცემა-წამების შესახებ ხმები გავრცელდა ქ. ბუქარესტში, ხელისუფლებამ გადასწყიტა თავიდან მოეშორებია ის. პოლიციის აგენტებს გადაწყვეტილი ჰქონდათ მოეკლათ ის „გაქცევის ცდის ლროს", მაგრამ მათ ვერ შესძლეს ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა. მართალია კაგანს მოხვდა ოხრანკელების მიერ გასროლილი რამდენიმე ტყვია, მაგრამ მაინც ცოცხალი გადარჩა.

ამრიგად 1927 წ. ყავარჯნებით წარსდგა პოეტი სამხედრო ტრიბუნალის გენერლების წინაშე, რომლებმაც მიუსაჯეს მას ხუთი წლის ვადით ციხეში დაპატიმრება. სასჯელის მოხდის დროს მან ხელმეორედ „ჩაიდინა დანაშაული" ჩამოყალიბა პოლიტკოდნის სკოლა, რისთვისაც მას მიუსაჯეს დამატებით შვიდი წელი.

მიუხედავად გერმანიის „დემოკრატიული" მთავრობის მიერ აკრძალვისა ბერლინის მუშებმა უდიდესი დემონსტრაცია მოაწყვეს კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის ძეგლელობის წლის თავზე სასაფლაო ფრიდრიხსფელდზე.

პარიზის კომუნის დღეს კაცობრიობის მილიონიანი დაჩაგრული მასები, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ერები, ვალდებულნი არიან მტკიცე რიგებად დაირაზმონ რემედასის დროშის ქვეშ!

რემედასის რიგების განმტკიცება არის კაპიტალის პატიმართა დახმარების გაძლიერება და ის ამავე დროს წარმოადგენს საუკეთესო გვირგვინს პარიზის კომუნარების საფლავზე!

363(∾)(05)
ห 43.

წელიწადი მეექვსე

№ 3

მ ა რ ტ ი

∞ 1929 ∞

რემედი

რემედასის საქართველოს ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტების ყოველთვიური ორგანო

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

რედაქციის მისამართი: ტფილისი, კომინტერნის ქ. №5, II-რე სართ.

∞ ტელ. 17 42. ∞

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა ტფილისი

პარიზის კომუნა და რემედასი

„პარიზის კომუნისათვის თავდადებულმა გმირება თავიანთი ძეგლი აღმართეს მუშათა კლასის გულში“.

კ. მარქსი

პარიზის კომუნის გამოცხადების დღეს—18 მარტს ყოველწლიურად უდიდესი სიყვარულით მოიგონებს საერთაშორისო რევოლიუციონური პროლეტარიატი.

პარიზის კომუნა იყო უდიდესი რევოლიუციონური ბრძოლების მაუწყებელი, მაგრამ ეს თავგანწირული ბრძოლა საშინელი ტრაგედიით დამთავრდა. პარიზის კომუნა დამარცხდა და საფრანგეთის ბურჟუაზიამ სისხლის მორევში ჩაახრჩო ის. ვერსალელების მიერ გამოსროლილი ყუმბარების ქვეშ ასი-ათასზე მეტი ქალი, კაცი და ბავში დაეცა პარიზის ქუჩებში. საბედისწერო შედეგებით დასრულდა 1871 წ. კომუნა, მაგრამ მას შემდეგ საერთაშორისო მებრძოლი მუშათა კლასი სწავლობს მის შეცდომებზე, მის ნაკლზე, რათა უფრო მტკიცე შეკავშირებით მიიტანოს მედგარი იერიში კაპიტალის ციხე-სიმაგრეზე და პარიზის კომუნარების მიერ ნაჩვენები გზით გაანთავისუფლოს მთელი ქვეყნის ტვირთ-მძიმე და დამონავებულნი.

კომუნა დამარცხდა, მაგრამ 1917 წ. ოქტომბრის რევოლიუციამ და იმ უდიდესმა ფაქტმა, რომ უკვე 12 წელია, რაც დედამიწის $^1/_6$ ნაწილზე არსებობს საბჭოთა ხელისუფლება დაუმტკიცა საერთაშორისო მუშათა კლასის ჯალათებს, რომ ეს დამარცხება იყო დროებითი და იმ დიად იდეებს, რომლებიც კაცობრიობის წინაშე წამოაყენეს 1871 წ. პარიზის კომუნარებმა, ანხორციელებს საბჭოთა კავშირის გამარჯვებული პროლეტარიატი.

ჩვენ ვიცით, რომ პარიზის კომუნის დამარცხების უმთავრესი მიზეზი იყო ის, რომ მან ვეღარ შესძლო რევოლიუციონური ზურგის გამაგრება, მან ვერ დაამყარა მჭიდრო კავშირი გლეხობასთან. რუსეთის—პროლეტარიატმა გაითვალისწინა რა, ეს გარემოება იმ თავითვე მჭიდროთ შეუკავშირდა მშრომელ გლეხობას და მისი დახმარებით უზრუნველყო ოქტომბრის დიდი რევოლიუციის მონაპოვარი.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა უფრო მეტიც გააკეთა ამ მხრივ, მან კარგად იცის აგრეთვე, რომ საჭიროა საერთაშორისო პროლეტარიატის ერთსულოვნება, მტკიცე კავშირი, რათა საბოლოოდ დაძლეული იქნეს მუშათა კლასის კლასობრივი მტერი—ბურჟუაზია. ამისათვის კი საჭირო იყო ისეთი ორგანიზაციის ჩამოყალიბება, რომელშიაც მტკიცე რიგებად დაირაზმებოდა ყველა ქვეყნის მშრომელი მასები.

მან მართლაც შექმნა ასეთი ორგანიზაცია. ეს არის რემედასი, რომლის იდეები ელვის სისწრაფით მოედო მთელს მუშურ სამყაროს, და რომლის ორგანიზაციებით მოფენილია დღეს არა მარტო კაპიტალისტური ქვეყნები, სადაც შრომა და კაპიტალი ყოველდღიურად პირისპირ ეჯახებიან ერთიმეორეს, არამედ რემედასმა მტკიცე ნიადაგი მოიპოვა თვით კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში, სადაც უცხოელების ექსპლოატაციის გვერდით სწარმოებს ადამიანის ყიდვაგაყიდვა, მონათმფლობელობა და ყოველგვარი საზიზღროება, რომელსაც ანმტკიცებს ბურჟუაზია.

ამრიგად რემედასმა, როგორც საერთაშორისო რევოლიუციის მტკიცე ზურგის შემაკავშირებელმა, და ამ რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე ორგანიზაციამ თავის დღეთ აირჩია პარიზის კომუნის დღე—18 მარტი. რემედასმა ჯერ კიდევ თავის ჩამოყალიბების პირველ დღიდანვე დაუკავშირა 18 მარტი საერთაშორისო მებრძოლ პროლეტარიატის მოძრაობას. 18 მარტს რემედასი მოაგონებს მთელს მსოფლიოს, რომ კაპიტალისტურ ქვეყნების მუშათა კლასს საშინელ პირობებში უხდება არსებობის უფლების მოსაპოებლად ბრძოლის წარმოება.

რემედასი არის ერთად-ერთი ორგანიზაცია, რომელიც ნათლად გამოსახავს საერთაშორისო პროლეტარიატის ერთსულოვნებას. რემედასმა იცის, რომ თუ არ იქნება ერთსულოვნება, თუ ერთი დროშის ქვეშ ერთი იდეით არ იქნება განმტკიცებული საერთაშორისო მუშათა კლასი, ადვილათ შეიძლება მომავალ ბრძოლებში პროლეტარიატის დამარცხება. ამიტომ არის რომ ის დღეს—18 მარტს მთელს მუშურ-გლეხურ მსოფლიოს მოუწოდებს შეკავშირებულის ძალით ეკვეთონ იმპერიალიზმის ყაჩაღებს.

მიმდინარე წელს, რემედასს—18 მარტის დღის ჩატარება უხდება განსაკუთრებულ პიროებში; ერთის მხრით მთელ რიგ ქვეყნებში მძვინვარებს საშინელი და მოუთმენელი ფაშისტური რეჟიმი, რომელიც განუკითხავად ცეცხლითა და მახვილით ანადგურებს რევოლიუციონურ მოძრაობას, მეორეს მხრით კი—ბურჟუაზია, რომელიც გვეევლინება „მშვიდობიანობის" მოციქულად შეუსვენებლივ ემზადება ახალი საერთაშორისო ომის ცეცხლის დასანთებად. ყველა ამის საპასუხოთ მთელ რიგ კაპიტალისტურ, კოლონიალურ, თუ ნახევრადკოლონიალურ ქვეყნეებში ადგილი აქვს რევოლიუციონურ მუშათა კლასის მღელვარებას. უკანასკნელი წელი აღსანიშნავია გაფიცვებით, (ინგლისი, პოლონეთი, გერმანია, ინდოეთი და სხვ). პროლეტარიატის მიერ მოწყობილი რევოლიუციონური გამოსვლებით და მთელ რიგ აჯანყებებით კოლონიებში.

იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობის გამწვავება, ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში შეიარაღებისათვის გაცხოველებული მუშაობა, მაშინ როცა კაპიტალისტები ქვეყნის თვალის ასახვეიად „მშვიდობიანობაზე" ლაყბობენ, და ს. ს. რ. კ. თავდასხმების მოწყობის სამზადისი მეტად ამწვეევებს საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობას.

ს. ს. რ. კ. წინააღმდეგ ომის სამზადისი, რომელსაც აწყობენ კაპიტალისტური სახელმწიფოები უდიდეს საფრთხეს უმზადებს საერთაშორისო პროლეტარიატს, რომელიც მზად არის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე მკერდით დაიცვას საბჭოთა ქვეყნების მშვიდობიანობა, მისი აღმშენებლობა და არსებობა.

მიუხედავად საერთაშორისო პოლიტიკური, მდგომარეობის ასე გამწვავებისა საბჭოთა კავშირი დღითი-დღე მტკიცდება. იზრდება ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობა, სწარმოებს 7 საათის სამუშაო დღეზე სისტემატიურად გადასვლა, მიწის კულტურულად დამუშავება, ელექტროფიკაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და სხვ.

ყველაფერი ეს მოთმინებას უკარგავს საბჭოთა კავშირის როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრებს, მაგრამ მიუხედავად ამისა დღითი-დღე იზრდება საბჭოთა კავშირისადმი მთელი მუშური საზოგადოების სიმპატია.

წელს რემედასის დღე ხვდება აგრეთვე იმ კომუნისტური ინტერნაციონალის არსებობის 10 წ. თავზე, რომლის დროშის ქვეშ ერწყობრად დარაზმულნი მიემართებიან მთელი ქვეყნის ტვირთმძიმენი და დამონავებული ერები. საერთაშორისო პროლეტარიატის თვალში იზრდება და მტკიცდება კომინტერნი, კომინტერნის არსებობის 10 წელი ეს არის საერთაშორისო პროლეტარიატის მიერ წარმოებული ბრძოლის უდიდესი გზა, და მომავალი საბოლოო გამარჯვების მტკიცე საწინდარი.

რემედასის მოღვაწეობაში, როგორც საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის ერთ-ერთი ნაწილისა, კომინტერნს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის. კომინტერნი ყველა თავის კონგრესნბზე აყენებდა რემედასის ამოცანებს და მოუწოდებდა კომპარტიის ორგანიზაციებს აქტიური დახმარება გაეწიათ რემედასისათვის.

დაჭრილი და დაპატიმრებული კომუნარები დამარცხების შემდეგ.

შოტლანდიელი უმუშევართა ჯგუფი მიემართება გლაზგოდან (შოტლანდიის მთავარი ქალაქი) ლონდონისაკენ.

18 მარტი უნდა გახდეს საერთაშორისო რევოლიუციონური რიგების დათვალიერებისა და მთელი ქვეყნის მშრომელ მასების ერთსულოვნების განმტკიცების დღეთ.

18 მარტს, რემედასი მოიგონებს, როგორც პარიზის კომუნის დროს დაღუპულ გმირებს, ისე ჩვენი დროის გმირებს, რომლებიც სიცოცხლეს სწირავენ მუშათა კლასის განთავისუფლებას.

რემედასი უდიდეს დახმარებას უწევს მებრძოლ მუშათა კლასს, როგორც ბრძოლის წარმოების დროს, ისე დამარცხების შემდეგაც კი – ციხესა და გადასახლებაში. ის დღითი-დღე აწარმოებს საპყრობილე-გადასახლებაში მოხვედრილი ამხანაგების მძიმე პირობების შემსუბუქებას.

18 მარტს რემედასი ერთხელ კიდევ მოაგონებს მთელი ქვეყნის მებრძოლ მუშათა კლასს, რომ ის მზად არის კვლავინებურად მტკიცე ნებისყოფით აწარმოოს საერთაშორისო რევოლიუციის წითელი ზურგის განმტკიცების საქმე.

18 მარტს, რემედასი თვისი მრავალ მილიონიან რიგების დათვალიერებასთან ერთად იმედის ხმებს მიაწვდის კაპიტალის საპატიმროებში მოქცეულ რევოლიუციონერებს და მოაგონებს მათ, რომ არსებობს პარიზის კომუნარების მიერ დასახული დიადი იდეა—საერთაშორისო მუშათა კლასის ერსულოვნება, ძლიერი ნებისყოფა და რევოლიუციონური სიმტკიცე, რომელიც უზრუნველყოფს პროლეტარიატის სრულ გამარჯვებას.

18 მარტი—რემედასის დღეა

რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე ორგანიზაციების 10 მილიონიანი რიგები მთელი ქვეყნის რევოლიუციონურ პროლეტარიატის და გლეხობის ფართე მასებთან ერთად დღეს მოიგონებენ საფრანგეთის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას, სახელოვან გამარჯვებას და იმ მწარე შედეგებს, რომლითაც დასრულდა ის; 30.000 კომუნარებმა შესწირეს თავიანთი სიცოცხლე მშრომელთა განთავისუფლების საქმეს.

პარიზის კომუნა არსებობდა მხოლოდ 72 დღის განმავლობაში, მაგრამ მან ბრძოლის ქარცეკლით აუნთო გული ყველა ქვეყნის დაბეჩავებულ და დამონავებულ მუშათა კლასს, ჩაუნერგა მათ კლასობრივი ბრძოლის იდეა და შრომის კაპიტალზე გამარჯვების აუცილებლობა.

პარიზის კომუნა პროლეტარიატის გამარჯვების მაუწყებელი იყო. მან უჩვენა მთელი ქვეყნის მუშებს კაპიტალთან შეიარაღებული ბრძოლის და გამარჯვების სწორი გზა. საერთაშორისო პროლეტარიატმა ნათლად გაითვალისწინა პარიზის კომუნის გამოცდილებები და მისი შეცდომები.

პარიზის კომუნის გამოცდილებებიდან საერთაშორისო პროლეტარიატს სამი უმთავრესი გაკვეთილი ახსოვს: მთლიანი პროლეტარული პარტიის აუცილებლობა, როგორც აჯანყებული მშრომელი მასების რევოლიუციონური ავანგარდი; პროლეტარიატის მშრომელ მასების ფენებთან, და პირველ რიგში კი, გლეხობასთან მჭიდრო კავშირის დამყარების აუცილებლობა, როგორც პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვების ერთად – ერთი, უმთავრესი და სწორი გზა; პროლეტარულ რევოლიუციის მტკიცე ზურგის შექმნა და მისი გამაგრება ყველა ქვეყნებში.

პარიზის კომუნამ განიცადა დამარცხება ერთის მხრივ იმიტომ, რომ მას არ ყავდა **ხელმძღვანელი პოლიტიკური პარტია**, რომელიც უნდა ყოფილიყო ერთსულოვნებით აღჭურვილი; მეორეს მხრივ; პარიზის აჯანყებულ პროლეტარიატს არ ჰქონდა არავითარი კავშირი გლახობის ფართე მასებთან; მესამე კი პარიზის კომუნარებმა ვერ მიიღეს ძმური დახმარება სხვა ქვეყნების პროლეტარიატისაგან.

ამ გაკვეთილებზე სწავლობდა და სწაულობს ჩვენი რევოლიუცია. ჩვენმა რევოლიუციამ გაიმარჯვა და გამაგრდა იმიტომ, რომ მას ხელმძღვანელობდა ფოლადისებური **ბოლშევიკური პარტია**. ის ეყრდნობოდა მუშების გლეხობასთან მჭიდრო კავშირს და ამავე დროს ძმური და ერთსულოვანი გამოხმაურება და დახმარება ჰპოვა მთელი ქვეყნის რევოლიუციონურ პროლეტარიატის რიგებში.

დღეს როცა საერთაშორისო პროლეტარიატი ემზადება კაპიტალის ძირიან – ფესვიანად დასაცხობად მთელს მსოფლიოში, მას კარგად ახსოვს პარიზის კომუნის გაკვეთილები. ყველა ქვეყნებში იზრდება და მტკიცდება კომუნისტური პარტიის ფოლადისებური რიგები. ამასთანავე ერთად ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში იწვავდება კლასობრივი ბრძოლა. ბურჟუაზია გაასკეცებულ ზომებს ღებულობს პროლეტარიატის და რევოლიუციონურ გლეხობის მოწინავე რაზმების წინააღმდეგ. პროლეტარიატის საერთაშორისო კომუნისაკენ ლტოლვა მიმდინარეობს წარმოუდგენელი ბრძოლის გაბწვავებულ პირობებში. რევოლიუციისათვის მებრძოლთა რიგები დღითი-დღე იზრდება კაპიტალის ციხე—კატორღებში. უამრავი ნაწილი კი იჟლიტება ბრძოლასა და საპყრობილეებში.